სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

30 იანვარი 2024 წელი

ბრძანება №01-02/09

ბსუ-ს მოკლევადიან ტრენინგ-მოდულზე „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის № 68/ნ ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, ბსუ-ს ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის **2021 წლის 01 ივლისის №01-02/101 ბრძანების,** „ბსუ-ს მოკლევადიანი პროგრამის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2024 წლის 26 იანვრის №01-10/05 ბრძანების,** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორის, ასოც. პროფ. თემურ ავალიანის 2024 წლის 27 იანვრის № 78742 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მსმენელთა მიღება ბსუ-ს პროფესიული გადამზადების მოკლევადიან ტრენინგ-მოდულის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ (66 საკონტაქტო საათი, ტრენინგ-მოდულის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ მისამართზე https://bsu.edu.ge/sub-54/page/16832/index.html) ორ ჯგუფში:

   ა) **ონლაინ სწავლების ფორმატი** - მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 20 მსმენელი, სწავლის საფასური 350 ლარი ერთი მსმენელისთვის, სწავლის დაწყება - **2024 წლის 10 თებერვალს;**

   ბ) **პირისპირ სწავლების ფორმატი** - მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 25 მსმენელი, სწავლის საფასური 300 ლარი ერთი მსმენელისთვის, სწავლის დაწყება - **2024 წლის 10 თებერვალს).**

2. აღნიშნულ ტრენინგ-მოდულზე მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2023 წლის 01 თებერვლიდან 07 თებერვლის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) დილის 10:00 საათიდან საღამოს 18:00 საათამდე.
3. ტრენინგ-კურსის გავლის მსურველებმა უნდა ჩამოტვირთონ განცხადება და შევსებული ვერსია გააგზავნონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@bsu.edu.ge (განცხადების ფორმა - ამ ბრძანების დანართი 1). განცხადების შევსება შესაძლებელია უნივერსიტეტის კანცელარიაშიც, მისამართზე - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, ბსუ-ს N1 კორპუსი 1-ლი სართული, ოთახი N1). განცხადებას თან უნდა დაერთოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლები. სწავლის საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE 22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 (ტრენინგის სწავლის საფასური);
4. ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ გაფორმდება მსმენელის მიერ ამ ბრძანების მე-3 პუნქტში აღნიშნული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.
5. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ბსუ-ს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაციის განთავსება, ასევე მსურველთა (აპლიკანტთა) რეგისტრაციის პროცესში მათი მხარდაჭერა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'', ასევე ,,რექტორის ბრძანებები“) და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (პროფ. თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილ ვადაში და წესით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი მოადგილე, პროფესორი,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ანზორ ბერიძე**

„ბსუ-ს მოკლევადიან ტრენინგ-მოდულზე „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის
2024 წლის 30 იანვრის N01-02/09 ბრძანების

დანართი 1

„ბსუ-ს მოკლევადიან ტრენინგ-მოდულზე „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ ჩარიცხვის მსურველი აპლიკანტის განცხადების ფორმა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

მოქალაქე ----------

პ/ნ----------

ტელეფონი ----------

ელექტრონული ფოსტის მისამართი :----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს დავრეგისტრირდე და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში და გავიარო მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით მოქმედი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ პირისპირ/ონლაინ (მონიშნეთ) სწავლების ფორმატში.

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: